საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 67/00 „ 10 " ნოემბერი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
დასკვნის გათვალისწინებით
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ი. ქოქრაძე / ილია გოცირიძე
„10" ნოემბერი" 2010 წელი

ეგზ.N2

შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის" 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გასვლითი თემატური აუდიტის შესახებ

სარჩევი

ნაწილი I – შესავალი 2
შემოკლებანი 2
ნაწილი II – აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები 2

ნაწილი III – ძირითადი ტექსტი 3
1. საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძვლები და საქმიანობა 3
2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა 6
3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა 7
4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა 11

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცვისა და განკარგვის მდგომარეობა 13
6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან 15

ნაწილი IV - აუდიტის აქტზე შენიშვნების და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა და წესი 16

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 16

ნაწილი I. - შესავალი

აუდიტის ფორმა: შპს ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გასვლითი თემატური აუდიტი

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 21 მაისის №58/43 ბრძანება;

აუდიტის ობიექტი: შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური; ქ.თბილისი თევდორე მღვდლის ქ №46; ტელ: (+995 32) 35-60-93;

აუდიტორები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოები: საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორები რაინ ყუფუნია (ჯგუფის ხელმძღვანელი) და თამარ ფიცხელაური. აუდიტის პროგრამით გათვალიწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად;

აუდიტის პერიოდი: 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე;

აუდიტის ვადა: 2010 წლის 24 მაისიდან 13 ივნისამდე;

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი

1 საქართველოს კონტროლის პალატა - კონტროლის პალატა;

2. შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური“ - საწარმო.

ნაწილი II. - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. რიგ შემთხვევაში საქონლის შეძენის დასადასტურებლად წარმოდგენილია მხოლოდ საკონტროლო სალარო აპარატების ჩეკები, ყოველგვარი სასაქონლო ზედნადებებისა თუ ანგარიშ-ფაქტურების გარეშე.

2. 2008 წელს შესყიდვების სააგენტოში არ არის წარდგენილი დამტკიცებული წლიური გეგმა და განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშები.

3, სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ხოლო წარმოდგენილი ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნებს.

4. ბენზინი ხარჯებში ჩამოიწერება პირდაპირ ყოველგვარი დოკუმენტაციის , (მოთხოვნები, სალიმიტო ბარათები, ზედდებულები) გარეშე, ხოლო დიზელის საწვავზე მოთხოვნები არ შეესაბამება ფაქტობრივად ჩამოწერილს.

5. სრულად არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ყოველწლიური ინვენტარიზაციები.

ნაწილი III.- ძირითადი ტექსტი

1. **საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძვლები და საქმიანობა**

საქართველოს კავშირგბმულობისა და ფოსტის სამინისტროს 1997 წლის 27 ოქტომბრის N01/120 ბრძანებით, სახაზინო საწარმო „სიხშირეთა განაწილებისა და ზედამხედველობის სამმართველოს" ბაზაზე დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახური", საწესდებო კაპიტალში 100% სახელმწიფო წილით. შპს „კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახური" ჩაითვალა სახაზინო საწარმო „სიხშირეთა განაწილებისა და ზედამხედველობის სამმართველოს" უფლებამონაცვლედ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახურის" წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 26 იანვრის N1-3/41 ბრძანებით, შპს „კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახურის" წესდებაში შესული ცვლილებებით მის დამფუძნებლად ნაცვლად საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსი გახდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და სამსახურს ეწოდა შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური", რომელიც გახდა შპს

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის ზედამხედველობის სამსახურის“ სამართალმემკვიდრე. ამასთან, შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური“ მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს კავშირგებმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2007 წლის 11 ოქტომბრის N1-3/737 ბრძანებით დამტკიცდა შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის“ წესდება.

შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის“ დამფუძნებელია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“, გარდა წილების პრივატიზებისა და/ან განკარგვის უფლებამოსილებისა, რასაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საწესდებო კაპიტალში 1 001 668 (ერთი მილიონ ერთ ათას ექვსასსამოცდარვა) ლარის შეტანით (100%).

შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის“ საქმიანობის ძირითად მიმართლებებია:

- საეთერო მაუწყებლობის, რადიოკავშირების, მაღალსიხშირული მოქმედი რადიოელექტრონულ საშუალებათა და რადიოსიხშირული საკაბელო სისტემების ელექტრომაგნიტური თავსებადობის პირობების უზრუნველყოფა;
- დამკვეთის სიხშირულ სპექტრში ხელშეშლების წარმომქმნელი, გამომსხივებელი წყაროების გამოვლენა და ადგილმდებარეობის დადგენა;
- სპეციალური რადიოტექნიკური გაზომვების ჩატარება, როგორც სტაციონარული, აგრეთვე მობილური გამზომი კომპლექსების გამოყენებით;
- სანიტარული გაზომვების ჩატარება;
- საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა მიღებული ლიცენზიის შესაბამისად;
- საზოგადოება დებს ხელშეკრულებებს სახელმწიფო და კერძო იურიდიული და ფიზიკურ პირებთან სამუშაოების შესრულებაზე და მომსახურებაზე.

საწარმოს ძირითადი მიზანია მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის შედეგად.

საშტატო განრიგით 2008 წელს საწარმოში ირიცხებოდა 19, ხოლო 2009 წელს - 17 თანამშრომელი, აქედან ადმინისტრაციაში შესაბამისად 4 და 3, ერთი თანამშრომელი ირიცხება ქ. ბათუმის დაკვირვების პუნქტში.

საწარმოს ადმინისტრაციის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:



საწარმოს 2008-2009 სამეურნეო წლები დამთავრებული აქვს მოგებით, თუმცა მისმა შემოსავალმა და შესაბამისად მოგებამაც 2009 წელს 2008 წელთან შედარებით იკლო, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ხელშეკრულების (წლიური ღირებულებით 105 ათასი ლარი) შეწყვეტით ისეთ ძირითად დამკვეთთან როგორიც ,,ჯეოსელია''.

საწარმოს 2008-2009 წლების საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გრაფიკების სახით:



2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა

შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის" დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო და კერძო იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული თანხები, თუმცა მას დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით უფლება აქვს აიღოს მიზნობრივი სესხები, მოიზიდოს თავისუფალი სახსრები, როგორც იურიდიული ისევე ფიზიკური პირებიდან.

საზოგადოებაში შემოსავლელბის აღრიცხვასა და მონიტორინგს ბუღალტერიასთან ერთად აწარმოებს მონაცემთა ბაზის განყოფილება. დამკვეთი ორგანიზაციები განაწილებულია განყოფილებაში დაკავებულ თანამშღომლებს შორის. თითოეულ მათგანზე მიმაგრებული ორგანიზაციების ხელშეკრულებები და დოკუმენტაცია (წერილები, ტექნიკური მონაცემების ანკეტები და სხვა) ინახება ცალ-ცალკე მათთვის განკუთვნილ საქაღალდეებში. გარდა ამისა, ორგანიზაციის მონაცემები აღირიცხება კომპიუტერში Excel-ის ფაილის სახით.

მონაცემთა ბაზის განყოფილება ახორციელებს დამკვეთ ორგანიზაციებთან მომსახურებაზე ხელშეკრულების მომზადებასა და განახლებას, თანხების ჩამორიცხვის აღრიცხვას, მიღება-ჩაბარების აქტებისა და ყოველთვიური ანგარიშის მომზადებას, ასევე მიმდინარეობს მუშაობა დებიტორ ორგანიზაციებთან დავალიანების ამოღების

მიზნით, რაც შემოიფარგლება მათთვის წერილების გაგზავნითა და შედარების აქტების გაფორმებით.

საწარმოს შემოსავლებმა 2008 წელს 324,3 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულმა (საშუალო რაოდენობა) - 295,7 ათასი ლარი, სხვა საწარმოო შემოსავლებმა (ზედმეტად დარიცხული ამორტიზაციის თანხები) - 15,9 ათასი ლარი, ფინანსურმა შემოსავლებმა (დეპოზიტებიდან შემოსული პროცენტები) – 12,4 ათასი ლარი და ვალუტის დადებითი საკურსო სხვაობებიდან მიღებულმა - 0,3 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავებულია და ის იცვლება 0,07 ათასი ლარიდან („კატონი და ჯორჯია") 105,0 ათას ლარამდე (შპს „ჯეოსელი").

2009 წელს საწარმოს შემოსავლებმა 295,4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: ამონაგებმა მომსახურების რეალიზაციიდან - 277,3 ათასი ლარი, ფინანსურმა შემოსავლებმა (დეპოზიტებიდან შემოსული პროცენტები) – 17,2 ათასი ლარი და გაუთვალისწინებელმა შემოსავლებმა (დაბრუნებული საგარანტიო თანხა და სახელმწიფო ბაჟი) - 0,8 ათასი ლარი. 2009 წელსაც გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება რადიკალურად განსხვავებულია და მერყეობს 0,07 ათასი ლარიდან („კატონი და ჯორჯია") 31,0 ათას ლარამდე (შპს „აიეტი ტვ"). როგორც აღვნიშნეთ, შემოსავლების შემცირების ძირითადი მიზეზია ხელშეკრულების შეწყვეტა ისეთ მნიშვნელოვან დამკვეთთან, როგორიც არის შპს „ჯეოსელი".

3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა

აუდირებულ პერიოდში საწარმოს მიერ გაწეულმა ხარჯებმა 569,3 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: 2008 წელს 287,5 ათასი ლარი და 2009 წელს 281,8 ათასი ლარი. გაწეული ხარჯები მუხლობრივად შემდეგი სახით განაწილდა და წარმოდგენილია დიაგრამის სახით.

ათას ლარებში



ათას ლარებში



აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საწარმოს განხორციელებული აქვს 163,8 ათასი ლარის შესყიდვა. აქედან 2008 წელს 82,6 ათასი ლარის და 2009 წელს 81,2 ათასი ლარის. უნდა აღნიშნოს, რომ შპს-ებს, რომლებშიც სახელმწიფო ფლობდა 50%-ზე მეტ წილს,

შესყიდვები სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად უნდა ეწარმოებინათ 2008 წლის 15 დეკემბრამდე, ხოლო 2008 წლის 15 დეკემბრიდან 2010 წლის იანვრამდე პერიოდში მათზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდებოდა, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტის თანახმად, მთავროობას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შპს-ებისთის ინდივიდუალურად უნდა დაემტკიცებინა შესყიდვის შესაბამისი წესი, რაც არ განხორციელებულა. შედეგად, კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა მიერ განხორციელებული შესყიდვები უნდა დაქვემდებარებოდა სახელმწიფო რეგულაციას, შესყიდვებს აწარმოებდნენ საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით აუდირებულ პერიოდში მომწოდებლებთან გაფორმებულია სულ 194 ხელშეკრულება. გაფორმებულ ხელშეკრულელბათა ღირებულებები უცნობია, რადგან ხელშეკრულებები ძირითადად ვერ იქნა წარმოდგენილი. განხორციელებული შესყიდვებისთვის მომწოდებლებისთვის გადახდილია 158 ,4 ათასი ლარი. მათ შორის 2008 წელს 95 ხელშეკრულებაზე 84,4 ათასი ლარი (შესყიდვის ღირებულება) და 2009 წელს 99 ხელშეკრულებაზე 74,0 ათასი ლარი (შესყიდვის ღირებულება). ყველა შესყიდვა ნაწარმოებია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში საქონლის შეძენის დასადასტურებლად წარმოდგენილია მხოლოდ საკონტროლო სალარო აპარატების ჩეკები, ყოველგვარი სასაქონლო ზედნადებებისა თუ ანგარიშ ფაქტურების გარეშე. ამასთან, საწარმოს 2008 წელს შესყიდვების სააგენტოში არა აქვს წარდგენილი წინასწარ დამტკიცებული წლიური გეგმა[1]. როგორც აღვნიშნეთ, სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ხოლო წარმოდგენილი ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნებს[2]. აგრეთვე შესყიდვების სააგენტოში არ არის წარდგენილი განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშები[3].

2008 წლის 1 იანვრისთვის საწარმოს ნაშთად ერიცხებოდა 528 ლარის 340 ლიტრი საწვავი. აუდირებულ პერიოდში საწარმოს სულ მიღებული აქვს 17,6 ათასი ლარის 12,4

---

[1] არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველი პინქტის მოთხოვნა

[2] არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 25-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები.

[3] არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

ათასი ლიტრი საწვავ-საპოხი საშუალება. საწვავის მიღებისა და ხარჯვის მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

საწვავ-საპოხი საშუალება	2008 წელი							
	ნაშთი		მიღება		ხარჯვა		ნაშთი 01.01.2009	
	რაოდ. ლიტრი	ღირებ. ლარი	რაოდ. ლიტრი	ღირებ. ლარი	რაოდ. ლიტრი	ღირებ. ლარი	რაოდ. ლიტრი	ღირებ. ლარი
დიზელი	240	400	3148	5239	3028	5132	360	507
ბენზინი	100	128	2330	3651	2250	3538	180	241
ზეთი	0	0	11	109	11	109	0	0
2009 წელი								
დიზელი	360	507	4190	5007	4428	5340	122	174
ბენზინი	180	241	2700	3442	2680	3387	200	296
ზეთი	0	0	13	194	13	194	0	0

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოში არ არის მოწესრიგებული საწვავის გაცემისა და ჩამოწერის მდგომარეობა. კერძოდ, დიზელის საწვავი გაიცემა მთავარი ინჟინრის თ.სვანიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ძირითადად ავტომანქანისთვის „ფორდ-ტრანზიტ-100“, სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული გეგმური რადიო-საკონტროლო სამუშაოების ჩასატარებლად. რაც შეეხება ბენზინს, ის ხარჯებში ჩამოწერილია პირდაპირ ყოველგვარი დოკუმენტების (მოთხოვნები, სალიმიტო ბარათები, ზედდებულები) გარეშე. შედეგად, ვერ დგინდება თუ როდის, ვისზე და რამდენი ბენზინია გაცემული. ამასთან, აუდირებულ პერიოდში დიზელის საწვავის ჩამოწერა არ შეესაბამება თანამშრომლების მიერ მოთხოვნილი საწვავის რაოდენობას.

აუდირებულ პერიოდში შრომის ანაზღაურებაზე საწარმოში სულ დარიცხულია 336,6 ათასი ლარი. მათ შორის 2008 წელს 161,7 ათასი ლარი და 2009 წელს 174,9 ათასი ლარი, ხოლო იმავე პერიოდში თანამშრომლებზე გაცემულია 336,6 ათასი ლარი. აქედან, 2008 წელს 162,4 ათასი ლარი და 2009 წელს 174,2 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოში პრემიები გაიცემა შესაბამის ანგარიშზე მათ დარიცხვამდე. გაცემული პრემიების დარიცხვები ხდება თვის ბოლოს (ხელფასის დარიცხვასთან ერთად), რაც შრომის ანაზღაურების ანგარიშზე იწვევს უარყოფითი ნაშთების არსებობას.

რეკომენდაციები:

1, საწარმომ მოაწესრიგოს შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და მოახდინოს მისი სისტემატიზაცია. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას იხელმძღვანელოს არსებული კანონმდებლობით. კერძოდ: შესყიდვების სააგენტოს კანონით დაწესებულ ვადებში წარუდგინოს წლიური, კვარტალური და კორექტირებული გეგმები, შესყიდვების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები, შესყიდვების საშუალებების შერჩევისას გაითვალისწინოს დაწესებული მონეტარული ზღვრები. ხელშეკრულებები გააფორმოს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

2. ანგარიშვალდებულმა პირებმა მიერ შესყიდვების განხორციელებისას სალაროს საკონტროლო აპარატების ჩეკებთან ერთად წარმოადგინონ ანგარიშ-ფაქტურები ან სასაქონლო ზედნადებები.

3. საწვავის ხარჯვაზე დააწესონ ლიმიტები, ან საწვავის ჩამოწერა აწარმოონ ანგარიშვალდებული პირების მოთხოვნების შესაბამისად.

4. საწარმომ ჯერ უნდა დაარიცხოს, ხოლო შემდეგ გასცეს პრემიები თუ სხვა სახის გასაცემები.

4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა

2008 წლის 1 იანვრისთვის საწარმოს დებიტორული დავალიანების სახით ერიცხებოდა 355,7 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებულ სამუშაოებზე - 260,4 ათასი ლარი, მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი - 35,3 ათასი ლარი და საგადასახადო აქტივები (ზედმეტად გადახდილი მოგებისა და ქონების გადასახადები) – 60,0 ათასი ლარი. 2008 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანებები გაიზარდა 4.0 ათასი ლარით და 359,7 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შესრულებულ სამუშაოებზე - 256,1 ათასი ლარი, მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი - 36,5 ათასი ლარი და საგადასახადო აქტივები - 66,3 ათასი ლარი.

2009 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანება პირიქით, შემცირებულია 31,1 ათასი ლარით და 328,6 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შესრულებულ სამუშაოებზე - 236,3 ათასი ლარი, მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი - 32,2 ათასი ლარი და საგადასახადო აქტივები - 60,1 ათასი ლარი. უნდა

აღინიშნოს, რომ დებიტორული დავალიანებებიდან 204,5 ათასი ლარის დავალიანება ხანდაზმულია, რომელიც წარმოშობილია 1997-2004 წლებში.

საყურადღებოა, რომ საწარმოს მიერ წლის ბოლოს ჩატარებული დებიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია არ არის სრული. შედარების აქტები არ არის გაფორმებული ყველა დებიტორ ორგანიზაციასთან, რაც მიუთითებს შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე.[4]

2008 წლის 1 იანვრისთვის საწარმოს კრედიტორული დავალიანება 19,1 ათას ლარს შეადგენდა. დავალიანების ძირითად ნაწილი (13,5 ათასი ლარი) გადასახდელი დივიდენდებია, ხოლო 5,6 ათასი ლარი ავანსადაა მიღებული დამკვეთებისგან. აუდირებულ პერიოდში კრედიტორული დავალიანება შემცირდა 3,6 ათასი ლარით და 2009 წლის 31 დეკემბრისთვის 15,5 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის ისევ ირიცხება გადასახდელი დივიდენდის თანხა 13,5 ათასი ლარი.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

დავალიანება	*ნაშთი 01.01.2008*		*ნაშთი 31.12.2008*		*ნაშთი 31.12.2009*	
	დებეტი	*კრედიტი*	*დებეტი*	*კრედიტი*	*დებეტი*	*კრედიტი*
შესრულებული სამუშაო	*260385*		*256 147*		*236 262*	
მიმწოდებლებზე გადახდილი	*35359*		*36485.79*		*32229.08*	
მათ შორის:						
ააფ-მენეჯმენტი	*96*		*96*			
ჰ/გ და ფოსტის მშენებლობის	*2 000*		*2 000*		*2 000*	
რეგიონალური სასწავლო ცენტრი	*30 000*		*30 000*		*30 000*	
შპს „მგთიკომი"	*135*		*100*		*64.83*	
შპს „მზე"	*3 104*		*2 004*			
კავკასუს ონლაინი			*70*		*72.86*	
ინფოჯორჯია XXI		*38*	*15.6*			*5.2*
საქართველოს ფოსტა			*169.11*			*23.19*
საქტელკომი			*7.97*			
სატელაიტ ჯეკომი					*60*	

[4] არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების" მე-13 მუხლის მოთხოვნები.

შპს „უნიგრუპი“ (ავანსი)		41.75		59.68		58.03
ანგარიშვალდებული პირები		122			8.28	
ავანსი შესრულებული სამუშაოდან		4 874		456		232.39
გადასახდელი დივიდენდი		13 505		13 505		13 505
საბაჟო	24.35		23.11		23.11	
შპს „ჯორჯიან უოთერ უნდ ფაუერი“						88
შპს „სილქნეტი“		530.11		531		622.83
საგადასახადო ვალდებულება	55 003 4983		54 533 11 768		37 243 22 831	
კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფი						926
გადახდილი ავანსი (ხელფასი)			704			
სულ	**355 730**	**19110.86**	**359737.8**	**14 551.68**	**328565.1**	**15 460.64**

რეკომენდაციები:

1. საწარმომ ყოველწლიურად სრულად აწარმოოს დებიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია და შედარების აქტების გაფორმება.

2. უნდა უზრუნველყოს დებიტორული დავალიანებეის ამოღება, ხოლო უიმედო ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების ჩამოწერაზე დასვას საკითხი სსიპ „საწარმოთა მართვის სააგანტოს“ წინაშე.

5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვისა და განკარგვის მდგომარეობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით 2008-2009 წლებში საწარმოში ჩატარებულია ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციისას ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის სხვაობები არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2008 წლის 10 დეკემბრის N1-3/541 ბრძანებით საწარმოს კაპიტალიდან ამოღებულ იქნა ქონების პასიური ნაწილი, საერთო ღირებულებით 52,5 ათასი ლარი, მათ შორის: შენობა, მდებარე გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, ღირებულებით 29,0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, ღირებულებით 23,5 ათასი ლარი.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საწარმოს მიერ შეძენილია სულ 27,1 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის 2008 წელს – 13,8 ათასი ლარის და 2009 წელს – 13,3 ათასი ლარის.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ერიცხება სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა პეჟო საბალანსო ღირებულებით 197,1 ათასი ლარი (პირვანდელი ღირებულება 431.7 ათასი ლარი), რომელიც 4 წელია მწყობრიდანაა გამოსული, სპეციალური მოწყობილობის დაზიანების გამო. საწარმოს ხელმძღვანელობის განმარტებით დაზიანებული ნაწილის შეცვლა (აღდგენა) ვერ ხერხდება მისი სიძვირის გამო (მინიმუმ 25 ათასი ევრო).

ზოგადად საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ძირითადი საშუალებები	2008 წელი				2009 წელი			ნაშთი 01.01 .2010
	ნაშთი 01.01.2008 ნარჩები ღირ.	შეძენა	გასვლა	ცვეთა	ნაშთი 01.01 2009	შეძენა	ცვეთა	
შენობები	61518.73	7020.39	19452.23	3252.78	45834.11		2291.69	43542.42
ელ.გადამცემი საშუალებები	1053.69			84.28	969.41		77.55	891.86
კ/გაბმულობის საშუალებები	1787.77		17.85	353.97	1415.95		283.18	1132.77
ოფისის აღჭურვილობა	2805.32		126.05	603.38	2075.89		626.12	1449.77
კომპიუტერული ტექნიკა	2885.38	2588.84		1496.1	3978.12		1050.65	2927.47
ავეჯი	925.96		74.96	199.94	651.06		210.04	441.02
სპეცინსტრუმენტები	96238.04	4161.95	603.95	8081.69	91714.35		7578.8	84135.55
მსუბუქი ავტომობილები	2238.9			447.6	1791.3	13329.8	3024.22	12096.89
სხვა ავტოტრანსპორტი	235965.44			19252.23	216713.2		17637.03	199076.2
არამატერიალური აქტივები	25683.71			2745.62	22928.09		3387.33	20291.44
არასასოფლო მიწა	23523		23523	0				

რეკომენდაცია:

თუ კი საწარმოს ფუნქციონირებისთვის სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა აუცილებლობას წარმოადგენს, მან უნდა გამონახოს სახსრები მის შესაკეთებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მსურველის მოძებნა და მისი გაყიდვა.

6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან

კერძო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი ფინანსური საქმიანობისა და ფულადი მოძრაოების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც გამოსადეგი იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს.

ბუღალტურლი აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ საწარმოს 2008-2009 წლების აუდიტი ჩატარებული აქვს შპს აუდიტურ კონცერნ „ცოდნისას". 2008 წლის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბიუჯეტთან ვალდებულების ნაწილში აუცილებელია საგადასახადო ინსპექციასთან ყოვლისმომცველი შედარების გაკეთება. ზუსტად იგივეა აღნიშნული 2009 წლის ფინანსური ანგარიშგებაზე წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნაშიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმო სათანადოდ არ ეკიდება აუდიტორების მიერ მოცემულ რეკომენდაციებს. საგადასახდო ორგანოებთან გაკეთებული შედარების აქტები არც კონტროლის პალატის აუდიტორებისთვის ყოფილა წარმოდგენილი.

საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა და წლიური ფინანსური ანგარიშგება ნაწარმოებია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა ბუღალტრული დოკუმენტაცია წიგნებში არ არის ჩაკრული ქრონოლოგიურად, გადახდების მიხედვით, რაც გარკვეულწილად ქმნის პრობლემებს შემოწმების დროს.

რეკომენდაცია:

საწარმომ ბუღალტრული დოკუმენტაციის აკინძვა აწარმოოს ოპერაციების განხორციელების შესაბამისად, ქრონოლოგიურად.

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96, ასევე სასამართლოში - კანონით დადგენილი წესით.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
საქართველოს კონტროლის პალატის
აუდიტორები:
ჯგუფის ხელმძღვანელი
რაინ ყუფუნია

10.11.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი

თამარ ფიცხელაური

10.11.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი